სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

09 / აგვისტო / 2024 წ.

KA021730557359424

№ 4/45862

შპს „ვი არ ვაკე თაუერსს“ (ს/კ:404649010)
მის: თბილისი, გრიგოლ ვოლსკის ქ. N7
ელ. მის: s.namoradze@vr.ge

თქვენი 30.07.2024 წლის № CA00412410205827 (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში: სააგენტო) რეგისტრ. № 99817/05) და 09.08.2024 წლის (სააგენტოს რეგისტრ. № 105413/ფ) წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენ მიერ წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 21.07.2023 წლის №005116723 და 17.08.2023 წლის №005807723 დასკვნების მიერ დადგენილი საორიენტაციო საბაზრო ღირებულების ოდენობის, სს „თიბისი ბანკის“ მიერ 2024 წლის 09 აგვისტოს გაცემული № 6688311-13592611 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, სააგენტო არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ მასსა და შპს „ვი არ ვაკე თაუერსს“ (ს/ნ 404649010) შორის 27.12.2023 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გადმოცემულ უძრავ ქონებაზე (ს/კ 01.14.07.008.178, ამჟამად: 01.14.07.008.187) მდებარე შენობა-ნაგებობების (N1; N2; N3) დემონტაჟი ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ლევან დათაშვილი

2908/109-42

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია № 6688311-13592611

ქ.თბილისი

09 აგვისტო, 2024 წ.

გარანტი: სს თიბისი ბანკი (შემდგომში „გარანტი“)
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204854595
გარანტის მისამართი: #7 მარჯანიშვილის ქ., თბილისი 0102, საქართველო
პრინციპალი: შპს „ვი არ ვაკე თაუერსი“ (შემდგომში „პრინციპალი“)
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404649010
პრინციპალის მისამართი: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ა.ჯაფარიძის ქ. , N 22ა
ბენეფიციარი: სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდეგში, „ბენეფიციარი“)
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 205005910
საგარანტიო თანხა: 1,333,444.00 (ერთი მილიონ სამას ოცდაათამეტი ათას ოთხას ორმოცდაოთხი) ლარი

მხედველობაში ვიღებთ, რომ „პრინციპალსა“ და „ბენეფიციარს“ შორის 2023 წლის 27 დეკემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“), რომელიც ითვალისწინებს ბენეფიციარის მიერ პრინციპალისთვის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემას ვალდებულებების შესრულების პირობით (უძრავი ქონება: თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №49-ში მდებარე 378 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.07.008.178) და უძრავ ქონებაზე შენობა-ნაგებობების დემონტაჟისათვის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N 5004665623 და N 5005306223 დასკვნისა და „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის N 1-1/1537 ბრძანების (შემდგომში „ბრძანება“) მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, პრინციპალი ვალდებულია ბენეფიციარს წარუდგინოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულების ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების თანახმად გადაცემულ უძრავ ქონებაზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად სახელმწიფოს მიმართ დამდგარი ზიანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურებას, ჩვენ სს თიბისი ბანკი, თანახმა ვართ გავცეთ აღნიშნული გარანტია.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენ, „გარანტი“, თანახმა ვართ „პრინციპალის“ დავალებით გავცეთ წინამდებარე უპირობო (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და ყველანაირი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომელიც მისი მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოფს პრინციპალისათვის ხელშეკრულების თანახმად გადაცემულ უძრავ ქონებაზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად სახელმწიფოს მიმართ დამდგარი ზიანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურებას.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები „ბენეფიციარის“ წინაშე „პრინციპალის“ სახელით საერთო თანხაზე, ჯამში **1,333,444.00 (ერთი მილიონ სამას ოცდაათამეტი ათას ოთხას ორმოცდაოთხი) ლარის** ოდენობით და ვკისრულობთ აღნიშნული თანხის გადახდას „ბენეფიციარის“ პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) სამუშაო დღის (კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა) ვადაში.

საბანკო გარანტიის ნამდვილობის გადამოწმება შეგიძლიათ სს თიბისი ბანკის ვებ-გვერდზე - Beta.tbcbank.ge

„ბენეფიციარის“ წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს „ბენეფიციარის“ მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ან/და დადასტურებული ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და მითითება, კონკრეტულად „პრინციპალსა“ და „ბენეფიციარს“ შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული რა ვალდებულებები იქნა დარღვეული „პრინციპალის“ მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და შესაბამისი ხელშეკრულების ასლი.

წინამდებარე გარანტიის მოქმედების ვადაა: 2030 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ბენეფიციარის“ მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე, „გარანტის“ მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს „თიბისი ბანკის“ სათავო ოფისში, სამუშაო საათებში, შემდეგ მისამართზე: კ. მარჯანიშვილის ქ. #7, თბილისი 0102, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობით უარის თქმით (საბანკო გარანტიის ნომრის მითითებით) და საბანკო გარანტიის დედნის გარანტისთვის დაბრუნებით.

საბანკო გარანტიის გარშემო წამოჭრილი დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

სს თიბისი ბანკი
წარმომადგენელი ანა ნადირაშვილი

საბანკო გარანტიის ნამდვილობის გადამოწმება შეგიძლიათ სს თიბისი ბანკის ვებ-გვერდზე - Beta.tbcbank.ge